№2045 2012 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

ფიჭური სატელეფონო მომსახურებისა და საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე

1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის შესაბამისად, ფიჭური სატელეფონო მომსახურებისა და საბეჭდი ქაღალდის (2013 წლის თებერვალი, მარტი, აპრილი) სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად ჩატარდეს კონსოლიდირებული ტენდერები.

2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს ფიჭური სატელეფონო მომსახურებისა და საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებისათვის კანონმდებლობით დადგენილი სხვა აუცილებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.

3. დამტკიცდეს თანდართული ფიჭური სატელეფონო მომსახურებისა და საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის წესი.

4. ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის შედეგების დადგომამდე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიეცეთ შემსყიდველ ორგანიზაციებს უფლება 2013 წლის იანვრის თვის ფიჭური სატელეფონო მომსახურება შეისყიდონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ–მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**

დანართი

დამტკიცებულია საქართველოს

მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის

N2045 განკარგულებით

ფიჭური სატელეფონო მომსახურებისა და საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის წესი

1. ფიჭური სატელეფონო მომსახურებისა და საბეჭდი ქაღალდის (2013 წლის თებერვალი, მარტი, აპრილი) სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების მიზნით შეიქმნას ფიჭური სატელეფონო მომსახურებისა და საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისია (შემდგომში – სატენდერო კომისია).

2. სატენდერო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ირაკლი ქარსელაძე	–	საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

ტატო ურჯუმელაშვილი	–	სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი
დიმიტრი ქუმსიშვილი	–	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი
გიორგი თაბუაშვილი	–	საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი
დავით ხუციშვილი	–	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საფინანსო–სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორი, სატენდერო კომისიის წევრი

3. სატენდერო კომისიას ხელმძღვანელობს სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის დავალებით სატენდერო კომისიის ერთ-ერთი წევრი.

4. სატენდერო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სატენდერო კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სატენდერო კომისიის სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ.

5. სატენდერო კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება სატენდერო კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. სატენდერო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას.

7. სატენდერო კომისიის მიერ მიღებული ნებიმისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სატენდერო კომისიის ყველა დამსწრე წევრი.

8. სატენდერო კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე ,,ფიჭური სატელეფონო მომსახურებისა და საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ფიჭური სატელეფონო მომსახურებისა და საბეჭდი ქაღალდის (2013 წლის თებერვლის, მარტისა და აპრილის თვეებში) სახელმწიფო შესყიდვების შეუფერხებელი და მათი სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის დაცვით განხორციელების მიზნით მიზანშეწონილია კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადება.

კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით საჯარო სამართლის იურიდიულმა პირს – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ევალება ფიჭური სატელეფონო მომსახურებისა და საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებისათვის კანონმდებლობით დადგენილი სხვა აუცილებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.

კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების მიზნით იქმნება სატენდერო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოს მთავრობის კანცელარიის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებისა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლები.

ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის შედეგების დადგომამდე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციებს უფლება მიეცემათ 2013 წლის იანვრის თვის ფიჭური სატელეფონო მომსახურება შეისყიდონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

განკარგულების გამოცემა არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას. განკარგულების პროექტის თანაავტორებია საქართველოს მთავრობის კანცელარია და სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და წარმდგენია საქართველოს მთავრობის კანცელარია.